

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება N162

2009 წლის 24 მარტი ქ. თბილისი

უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო
დოკუმენტის - დიპლომის ფორმისა და მისი გაცემის წესის
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის “ნ” ქვეპუნქტის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებისა და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის “ა” და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,
ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის გაცემის წესი (დანართი N1).

2. დამტკიცდეს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის თანდართული ფორმები (დანართები №2, №3, №4).
(1.12.2009 N1064)

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 25 სექტემბრის N812 ბრძანება.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნ. გვარამია

დანართი N1

უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის –
დიპლომის გაცემის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე წესით განსაზღვრულია აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (შემდგომში - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება) მიერ გასაცემი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის გაცემის წესი.

მუხლი 2. დიპლომის მიღებაზე უფლებამოსილი პირები (1.12.2009 N1064)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია გასცეს დიპლომი იმ პირებზე, რომელთაც:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით მიენიჭათ ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის, მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაცია (დანართი №2);

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტის ან საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ მიენიჭათ დოქტორის აკადემიური ხარისხი (დანართი №3);

გ) "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამებით (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დიპლომირებული სპეციალისტი) სწავლებაზე სრულ გადასვლამდე დაასრულეს ერთსაფეხურიანი, არანაკლებ ხუთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა, მიენიჭათ შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით მოიპოვეს უმაღლესი განათლების დიპლომის მიღების უფლება, მაგრამ არ მიუღიათ იგი (დანართი №4)."

მუხლი 3. დიპლომის გაცემაზე უფლებამოსილი პირი (1.12.2009 N1064)

1. ამ წესის დანართი №2 და დანართი №3-ით გათვალისწინებული დიპლომის გაცემაზე უფლებამოსილია ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც უფლება აქვს გასცეს სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ წესის დანართი №4-ით გათვალისწინებული დიპლომის გაცემაზე უფლებამოსილია ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელმაც/რომლის სტრუქტურულმა ერთეულმა/ფილიალმა მოახდინა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება ან მისი უფლებამონაცვლე.

3. დიპლომის გაცემაზე უფლებამოსილი პირი, ამ წესის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს დიპლომის კონკრეტული ფორმების შემუშავებას, დიპლომების აუცილებელი რაოდენობის განსაზღვრასა და პოლიგრაფიული საწარმოების

მეშვეობით მათ ტირაჟირებას, აგრეთვე დიპლომის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დადგენას.

მუხლი 4. დიპლომისათვის წაყენებული ზოგადი მოთხოვნები

1. დიპლომი წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის ფორმას, რომელიც უნდა შეიცავდეს მხოლოდ შემდეგ დამცავ ნიშნებს:

ა) დიპლომის მთელი ზედაპირი დაფარული უნდა იყოს დამცავი (გილოშერული) ბადით, ბადეების სამი სახის ერთდროული გამოყენებით;

ბ) ულტრაიისფერი სხივების ქვეშ დიპლომის სახიან მხარეზე დასმული ნიშანი (ლოგო), დიპლომის სერიისა და ინდივიდუალური ნომრის გამოსახულება უნდა გამოსცემდეს ლუმინესცენციას.

2. დიპლომის ფორმაზე პოლიგრაფიული წესით აღნიშნული უნდა იყოს:

ა) დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს და დამკვეთის სახელწოდება ინიციალებით;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი, დიპლომის სერია (ლათინური ასოებით) და ინდივიდუალური ნომერი არანაკლებ 6 ციფრი;

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინიციალები - „სფს“.

3. ამ წესით გათვალისწინებული დიპლომის ფორმის შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომი შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, რომელიმე უცხო ენაზე/ენებზე.

4. დიპლომის სხვადასხვა ენაზე შედგენისას, დიპლომის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირების მიერ უნდა გაკეთდეს ხელმოწერები, რომელსაც ისინი იყენებენ საქმიან ურთიერთობებში. (1.12.2009 N1064)

მუხლი 5. დიპლომის სავალდებულო რეკვიზიტები (1.12.2009 N1064)

1. ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის, მაგისტრის აკადემიური ხარისხის ან დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაციის მინიჭებისას პირზე გაიცემა დიპლომი, რომლის სავალდებულო რეკვიზიტებია:

ა) წარწერა "საქართველო", რომელიც უნდა განთავსდეს დიპლომის ზედა ცენტრალურ ადგილზე;

ბ) მითითება "ბაკალავრის დიპლომი", "დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის დიპლომი", "მაგისტრის დიპლომი", "დიპლომირებული სპეციალისტის დიპლომი" მინიჭებული აკადემიური ხარისხის ან კვალიფიკაციის შესაბამისად;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითების გარეშე);

დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ლოგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დიპლომის სერია (ლათინური ასოებით) და ინდივიდუალური ნომერი;

ვ) აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მიმნიჭებელი ფაკულტეტის სახელწოდება;

ზ) აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ნომერი,წელი, თვე, რიცხვი;

თ) პირის სახელი, გვარი, რომელსაც მიენიჭა ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის, მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაცია;

ი) სპეციალობის დასახელება (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის სახელწოდება არ ემთხვევა სპეციალობის დასახელებას);

კ) ფაკულტეტის დეკანის სახელი და გვარი (გარკვევით), ხელმოწერა;

ლ) რექტორის სახელი და გვარი (გარკვევით), ხელმოწერა;

მ) ადგილი, სადაც გაიცა დიპლომი;

ნ) დიპლომის გაცემის თარიღი (წელი,თვე,რიცხვი);

ო) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბეჭედი;

პ) დიპლომის სარეგისტრაციო ნომერი, ფაკულტეტის (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების) მიერ დიპლომის რეგისტრაციის მიზნით წარმოებულ რეესტრში.

2. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე პირზე გაიცემა დიპლომი, რომელიც ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“, „ლ“, „მ“, „ნ“, „ო“ და „პ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა შეიცავდეს შემდეგ სავალდებულო რეკვიზიტებს:

ა) მითითება „დოქტორის დიპლომი“;

ბ) დოქტორის აკადემიური ხარისხის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ მინიჭების შემთხვევაში - ფაკულტეტის სახელწოდება;

გ) დოქტორის აკადემიური ხარისხის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ მინიჭების შემთხვევაში - ფაკულტეტის დეკანის სახელი და გვარი (გარკვევით), ხელმოწერა;

დ) დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ნომერს,წელს, თვეს, რიცხვს;

ე) პირის სახელს და გვარს, რომელსაც მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი.

3. ამ წესის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირებზე გაიცემა დიპლომი, რომელიც ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“, „ზ“, „ლ“, „მ“, „ნ“, „ო“ და „პ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა შეიცავდეს შემდეგ სავალდებულო რეკვიზიტებს:

- ა) მითითება "უმაღლესი განათლების დიპლომი";
 - ბ) აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მიმნიჭებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაწესებულების სტრუქტურული ერთეულის/ფილიალის სახელწოდება;
 - გ) პირის სახელი, გვარი, რომელმაც "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამებით (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დიპლომირებული სპეციალისტი) სწავლებაზე სრულ გადასვლამდე დაასრულა ერთსაფეხურიანი, არანაკლებ ხუთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა და მიენიჭა შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია;
 - დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაწყებისა და დასრულების თარიღი;
 - ე) სპეციალობის დასახელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - ვ) თუ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამას მოიცავს რომელიმე ფაკულტეტი, ფაკულტეტის დეკანის სახელი და გვარი (გარკვევით), ხელმოწერა.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას უფლება აქვს გასცეს დიპლომი, რომელიც ამ წესით დადგენილი დიპლომის სავალდებულო რეკვიზიტების გარდა, შესაძლებელია შეიცავდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას, საქართველოს კანონმდებლობის დაცვით."

მუხლი 5¹. დიპლომის დუბლიკატის გაცემა (1.12.2009 N1064)

1. დუბლიკატი - დედნის ძალის მქონე დიპლომის მეორე ცალი (შემდგომში - დუბლიკატი), რომელიც გაცემა იმ პირზე, რომლის დიპლომი დაიკარგა, განადგურდა ან გახდა გამოსაყენებლად უვარგისი.
2. დუბლიკატის გაცემაზე უფლებამოსილი არიან ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირები. დუბლიკატს ხელს აწერს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი.
3. დუბლიკატის გაცემაზე უფლებამოსილი პირები, ამ წესის გათვალისწინებით, უზრუნველყოფენ დუბლიკატის კონკრეტული ფორმების შემუშავებას, დუბლიკატების აუცილებელი რაოდენობის განსაზღვრასა და პოლიგრაფიული საწარმოების მეშვეობით მათ ტირაჟირებას, აგრეთვე დუბლიკატების აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დადგენას.
4. დუბლიკატი უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
5. დუბლიკატის სავალდებულო რეკვიზიტებია:
 - ა) დუბლიკატის გარეკანზე რელიეფური ფორმით გაკეთებული წარწერა "დუბლიკატი";
 - ბ) წარწერა "საქართველო", რომელიც უნდა განთავსდეს დუბლიკატის სახიან მხარეს ზედა ცენტრალურ ადგილზე;
 - გ) დუბლიკატის გამცემი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ლოგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი, დუბლიკატის სერია (ლათინური ასოებით) და ინდივიდუალური ნომერი არანაკლებ 6 ციფრი; (4.02.2010 N 6/6)

ე) დაკარგული, განადგურებული ან გამოსაყენებლად უვარგისი შესაბამისი დიპლომის ფორმისათვის ამ წესის მე-5 მუხლით განსაზღვრული სავალდებულო რეკვიზიტების თაობაზე ინფორმაცია, გარდა მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "ა", "დ", "კ", "ლ", "მ" და "ო" ქვეპუნქტებით, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა;

ვ) სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მითითებული იყო დიპლომში და რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით;

ზ) დუბლიკატის გაცემაზე უფლებამოსილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება, ბეჭედი, რექტორის სახელი და გვარი (გარკვევით), ხელმოწერა;

თ) ადგილი, სადაც გაიცა დუბლიკატი;

ი) დუბლიკატის გაცემის თარიღი (წელი, თვე, რიცხვი);

კ) დუბლიკატის სარეგისტრაციო ნომერი დიპლომის რეგისტრაციის მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოებულ შესაბამის რეესტრში.

6. თუ კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით არ დგინდება დაკარგული, განადგურებული ან გამოსაყენებლად უვარგისი დიპლომის ფორმისათვის განსაზღვრული სავალდებულო რეკვიზიტების შესაბამისი სრული ინფორმაცია, დუბლიკატის გაცემაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია დუბლიკატში ასახოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომლის დადასტურებაც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. იმ დიპლომის დუბლიკატის მოთხოვნის შემთხვევაში, რომლის ფორმაც განსხვავდება ამ ბრძანების დანართები №2, №3, №4-ით დამტკიცებული დიპლომის ფორმებისაგან, ამ მუხლის მე-5 პუნქტის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ნაცვლად დუბლიკატში მიეთითება ის ინფორმაცია, რომელსაც შეიცავდა დაკარგული, განადგურებული ან გამოსაყენებლად უვარგისი დიპლომი და რომლის დადასტურებაც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დიპლომისა და დუბლიკატის რეგისტრაციის მიზნით აწარმოებს ერთიან რეესტრს.

მუხლი 6. დიპლომის ფორმის, გაცემული დიპლომის, დუბლიკატისა და გაცემული დუბლიკატის თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (1.12.2009 N1064)

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამტკიცებული დიპლომის/დუბლიკატის ფორმა/ფორმები გამოაქვეყნოს საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ერთი ეგზემპლარი წარადგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი).

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ცენტრის მიერ წარმოებულ აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების რეესტრში (შემდგომში - რეესტრი), ინტერაქტიული ბაზის მეშვეობით, დიპლომის/დუბლიკატის შევსებიდან 10 დღის ვადაში მოახდინოს კონკრეტულ პირზე მის მიერ გაცემული დიპლომის/დუბლიკატის ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დიპლომის სერია (ლათინური ასოებით), ინდივიდუალური ნომერი და ინფორმაციის შეტანა დიპლომით მინიჭებული/დუბლიკატში ასახული აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის თაობაზე, აგრეთვე, აღნიშნულ ინფორმაციაში ცვლილების შეტანისას - რეესტრში ასახოს შესაბამისი ცვლილება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ცენტრს წარუდგენს აგრეთვე წერილობითი სახით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად.

4. ცენტრისათვის წარდგენილი და ინტერაქტიულ ბაზაში შეყვანილი ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე პასუხისმგებელია შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

დანართი №2 (1.12.2009 N1064)

”ბაკალავრის დიპლომის”, ”დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის დიპლომის”, ”მაგისტრის დიპლომის”, ”დიპლომირებული სპეციალისტის დიპლომის” ფორმა

დიპლომი უნდა შეიცავდეს:

წარწერა "საქართველო", რომელიც უნდა განთავსდეს დიპლომის ზედა ცენტრალურ ადგილზე; მითითება ”ბაკალავრის დიპლომი”, ”დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის დიპლომი”, ”მაგისტრის დიპლომი”, ”დიპლომირებული სპეციალისტის დიპლომი” მინიჭებული აკადემიური ხარისხის ან კვალიფიკაციის შესაბამისად; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის გარეშე); უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ლოგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში); უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის სერია (ლათინური ასოებით) და ინდივიდუალური ნომერი; აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მიმნიჭებელი ფაკულტეტის სახელწოდება; აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მიანიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ნომერი,წელი, თვე, რიცხვი; პირის სახელი, გვარი, რომელსაც მიენიჭა ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის, მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაცია; სპეციალობის დასახელება (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის სახელწოდება არ ემთხვევა სპეციალობის დასახელებას); ფაკულტეტის დეკანის

სახელი და გვარი (გარკვევით), ხელმოწერა; რექტორის სახელი და გვარი, (გარკვევით), ხელმოწერა; ადგილი, სადაც გაიცა დიპლომი; დიპლომის გაცემის თარიღი (წელი, რიცხვი, თვე); უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბეჭედი; დიპლომის სარეგისტრაციო ნომერი, ფაკულტეტის (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების) მიერ დიპლომის რეგისტრაციის მიზნით წარმოებულ რეესტრში.

დიპლომის ფორმაზე პოლიგრაფიული წესით აღნიშნული უნდა იყოს:

- დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს და დამკვეთის სახელწოდება ინიციალებით;
- დიპლომის სერია (ლათინური ასოებით) და ინდივიდუალური ნომერი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინიციალები - „სფს“.

დანართი №3 (1.12.2009 N1064)

”დოქტორის დიპლომის” ფორმა

დიპლომი უნდა შეიცავდეს:

წარწერა "საქართველო", რომელიც უნდა განთავსდეს დიპლომის ზედა ცენტრალურ ადგილზე; მითითება "დოქტორის დიპლომი"; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება(ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის გარეშე); უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ლოგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში); უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის სერია (ლათინური ასოებით) და ინდივიდუალური ნომერი; დოქტორის აკადემიური ხარისხის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ მინიჭების შემთხვევაში - ფაკულტეტის სახელწოდება; დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ნომერი,წელი, თვე, რიცხვი; პირის სახელი, გვარი, რომელსაც მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი; დოქტორის აკადემიური ხარისხის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ მინიჭების შემთხვევაში - ფაკულტეტის დეკანის სახელი და გვარი (გარკვევით), ხელმოწერა; რექტორის სახელი და გვარი (გარკვევით), ხელმოწერა; ადგილი, სადაც გაიცა დიპლომი; დიპლომის გაცემის თარიღი (წელი, რიცხვი, თვე); უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბეჭედი; დიპლომის სარეგისტრაციო ნომერი, ფაკულტეტის (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების) მიერ, დიპლომის რეგისტრაციის მიზნით წარმოებულ რეესტრში.

დიპლომის ფორმაზე პოლიგრაფიული წესით აღნიშნული უნდა იყოს:

- დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს და დამკვეთის სახელწოდება

ინიციალებით;

- დიპლომის სერია (ლათინური ასოებით) და ინდივიდუალური ნომერი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინიციალები - „სფს“

დანართი №4 (1.12.2009 N1064)

”უმაღლესი განათლების დიპლომის” ფორმა

დიპლომი უნდა შეიცავდეს:

წარწერა "საქართველო", რომელიც უნდა განთავსდეს დიპლომის ზედა ცენტრალურ ადგილზე; მითითება "უმაღლესი განათლების დიპლომი"; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითების გარეშე); უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ლოგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში); უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის სერია (ლათინური ასოებით) და ინდივიდუალური ნომერი; აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მიმნიჭებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულის/ფილიალის სახელწოდება; აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ნომერი,წელი, თვე, რიცხვი; პირის სახელი, გვარი, რომელმაც "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამებით (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დიპლომირებული სპეციალისტი) სწავლებაზე სრულ გადასვლამდე დაასრულა ერთსაფეხურიანი, არანაკლებ ხუთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა და მიენიჭა შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაწყებისა და დასრულების თარიღი; სპეციალობის დასახელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში); თუ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამას მოიცავს რომელიმე ფაკულტეტი, ფაკულტეტის დეკანის სახელი და გვარი (გარკვევით), ხელმოწერა; რექტორის სახელი და გვარი (გარკვევით), ხელმოწერა; ადგილი, სადაც გაიცა დიპლომი; დიპლომის გაცემის თარიღი (წელი,თვე,რიცხვი); უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბეჭედი; დიპლომის სარეგისტრაციო ნომერი, ფაკულტეტის (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების) მიერ დიპლომის რეგისტრაციის მიზნით წარმოებულ რეესტრში.

დიპლომის ფორმაზე პოლიგრაფიული წესით აღნიშნული უნდა იყოს:

- დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს და დამკვეთის სახელწოდება ინიციალებით;
- დიპლომის სერია (ლათინური ასოებით) და ინდივიდუალური ნომერი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის

ნომერი;

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინიციალები - „სფს“.